

დღეს თევზის ჭამას მთხოვ, ხვალ - ხორცისას შემომთავაზებ, ზევ კი რჯულის გამოცვლას მომთხოვ

როგორც აღვნიშნავდით, (იხ. [პაპისა და პატრიარქ ბართლომეს ანტიმართლმადიდებლური ქმედებანი](#)) მსოფლიო პატრიარქი ბართლომე იღწვის, რათა მოწვეულ იქნეს მე-8 მსოფლიო კრება, რომელიც, ეკლესიის სწავლებით, იქნება ავაზაკთა კრება. ამ კრების დღის წესრიგში ერთ-ერთ საკითხად შეტანილია მარხვის შემსუბუქების საკითხი.

სახარებაში მაცხოვარი ამბობს, რომ ადამიანის გადარჩენა, მისი სულის ცხონება მხოლოდ მარხვითა და ლოცვითაა შესაძლებელი. იმ დროს, როდესაც ქვეყანას, ერს ან სხვა რაიმე ერთობას განსაცდელი ადგას, მაშინ მარხვის შემსუბუქება კი არა, პირიქით, მარხვის გაძლიერება მართებს მას. ასე, მაგალითად, ბიბლია მოგვითხრობს, რომ, როდესაც ნინევის დასჯა გადაწყვიტა ღმერთმა, მაშინ ნინევიელებმა მრავალი დღე იმარხულეს, შინაური პირუტყვიც კი ამარხულეს და ასე მოუღბეს ღმერთს გული, რომელმაც იმჯერად ნინევია არ დაღუპა.

დიდი განსაცდელია დღეს საქართველოში და მარხვის შემსუბუქებაზე კი არ უნდა იყოს საუბარი, არამედ, პირიქით, მარხვის გაძლიერებაზე. სამწუხაროდ, საქართველოში გამოჩნდნენ სასულიერო პირები, - მღვდელმთავრები და მღვდლები, - რომლებიც არა ცალკეულ პიროვნებებს, არამედ მთელ ეპარქიებსა და სამწყსოებს აძლევენ მარიამობის მარხვაში (ასევე იყო დიდმარხვაშიც) თევზით გახსნილების კურთხევას. ამჯერად მათი სახელების დასახელებისაგან თავს შევიკავებთ. ეს ეწინააღმდეგება ეკლესიის ტიპიკონს და დიდ დარღვევასა და დანაშაულს წარმოადგენს. თუ ეკლესია ამაზე ხმას არ ამოიღებს და არ აღკვეთს ანტიეკლესიურ კურთხევებს, მაშინ ქვეყანას დიდი განსაცდელი დაატყდება თავს. მადლობა ღმერთს, რომ ჩვენმა უწმინდესმა, ჩვენმა პატრიარქმა 21 აგვისტოს საკვირაო ქადაგებაში, შეეხო რა ამ საკითხს, აღნიშნა, რომ მარიამობის მარხვაში თევზით გახსნილება არ არის სწორი, და რომ ადამიანები, მრევლი უნდა გაფრთხილდეს და არ მიიღოს ასეთი კურთხევა, არ გაიხსნილოს და არ დაარღვიოს წმინდა მარხვა.

ჩვენი წმინდანები მისაბამ მაგალითს გვაძლევენ. როდესაც წმ. მეფე ლუარსაბი შაჰ-აბასის მძეველი იყო და მოელოდა მისგან სასიკვდილო განაჩენს, დიდ მარხვაში შაჰის შეთავაზებაზე, მიერთვა თევზი, იმაზე კი არ იზრუნა, რომ ხორცი გადაერჩინა, მიეღო შჰის ესცთხოვნა და ამდტ მისი გული მოეღობო, არამედ სულზე იზრუნა და ასე მიგო მტარვალ შაჰ-აბასს, - დღეს თევზის ჭამას მთხოვ, ხვალ - ხორცისას შემომთავაზებ, ზევ კი რჯულის გამოცვლას მომთხოვო. სრული პასუხსმგებლობით ვაცხადებთ, რომ ის მსოფლიო ძალები, რომლებიც მართლმადიდებელ ეკლესიაში მარხვის შემსუბუქებისთვის (ასევე სხვა სიახლეების შემოტანისთვის) შეგნებულად იღწვიან, შაჰ-აბასის მსგავსნი მტერნი არიან, რომელთა მიზანია ხალხის სულის წარწყმედა, ქრისტეს ეკლესიის გახლეჩა და მისი დასუსტება.

მარიამობის მარხვაში არ დაწყებულა ეს მაცდუნებელი კურთხევები თევზით გახსნილების შესახებ. ასე მოხდა დიდ მარხვაში, - ერთ-ერთი ტაძრის წინამძღვარმა დიდ მარხვაში თავის სამწყსოს თევზით გახსნილების კურთხევა მისცა (რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ასეთივე კურთხევა გასცა დიდ მარხვაში ზოგიერთმა მღვდელმთავარმა). საპატრიარქომ ამ წინამძღვარს შენიშვნა მისცა და მოსთხოვა, შეეცვალა ეს არასწორი კურთხევა. სამწუხაროა, რომ საპატრიარქოს ასეთი სწორი და პრინციპული პოზიციის მიუხედავად ვიღაცეებმა გაავრცელეს მორწმუნეთა მაცდუნებელი ჭორი, რომ, თითქოს, ეს სასულიერო პირი თავის ქმედებაში გამართლდა. სწორედ ასეთი მზაკვრული ქმედება გვაფიქრებინებს იმას, რომ მავანნი არა შეუგნებლად, არამედ შეგნებულად მოქმედებენ, ქრისტეს ეკლესიისა და მორწმუნეთა მტრების დავალებას ასრულებენ და ხალხს აცდუნებენ. ერთ კანონზომიერებას გვინდა მივაქციოთ თქვენი ყურადღება. საქართველოში მარხვის შემსუბუქების კურთხევებს იმ ჯგუფის სამღვდელოება და მღვდელმთავრები იძლევიან, რომლებიც სულ ცოტა ხნის წინ ეწვივნენ ბართლომეს არაოფოციალური ვიზიტით. არ გამოვრიცხავთ, რომ ამ ჯგუფის წარმომადგენლები ბართლომეს კალთის ქვეშ დავანებას ესწრაფვოდნენ და მისი ინსტრუქციების გამტარებლები აღმოჩნდნენ საქართველოში.

